თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 10

ქ. თერჯოლა 4 ნოემბერი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ზურაბ ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. მამული კოვზირიძე, 7. მირზა აფრიდონიძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. მაკა ყიფშიძე, 11. ნატო კვეტენაძე, 12. გიორგი ბერეკაშვილი, 13. სოსო ჩაფიჩაძე, 14. სერგი ჯიხვაშვილი

კომისიის შემადგენლობა: 14 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 14 წევრი
კვორუმი: 8 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282530261, 29.10.2025 წ.);

   მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

2. ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282529463, 21.10.2025 წ.).

   მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 305.0 ათასი ლარით და შეადგენს 36645.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 305.0 ათასი ლარით სხვა შემოსავლები (ჯარიმები, სანქციები და საურავები).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 305.0 ათასი ლარით. მ/შორის:

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება გაიზარდა 40.0 ათასი ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 220.0 ათასი ლარით.

სოციალური პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 25.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებით - 20650.0 ათასი ლარის ოდენობით (საკუთარი შემოსავლები 20350.0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 300.0 ათასი ლარი).

2025 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 119.0 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 109.0 ათას ლარს.

2025 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 11-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 4-ჯერ და საკრებულოს მიერ 7-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 35970.3 ათასი ლარით ((საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 25107.7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 10862.6 ათასი ლარი).

2025 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 27896.3 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 26149.9 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პირველი ოქტომბრისათვის ნაშთი დარჩა 1746.4 ათასი ლარი. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 1559.6 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 186.8 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 27896.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (26149.9 ათასი ლარი) 106,7%-ია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების შესახებ და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩხივაძე